ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1238106

ნომერი: AR1209496

თარიღი : 03.04.2014

გაცემის თარიღი : 01.05.2014

გაცნობის თარიღი : 06.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ახუნდოვი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლია სვანიძე პ/ნ 33001002550
- საბურთალოს ქ. 30 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შპს გლორია კოდი: 404379338

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. 3/ახუნდოვის ქ. N4–ში ტენტის მოწყობის საკითხი გადაგზავნილი იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ურბანული სექციის მიერ (24.04.2014 წ. Nდ/13/09/01 წერილი). აღნიშნულ საკითხს საბჭოს შეფასებით ეთქვა უარი. მოსაწყობათ ამხელა საინჯინრო ნაგებობები, რომელიც ფაქტიურად დამატებითი სართულის მოცულობის ხელაა, მიუღებელია აბანოთუბნისთვის. მით უფრო როცა თავად სასტუმროს შენობაც არღვევს ამ უბანში არსებულ ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ურბანულ ქსოვილს.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ლ. სვანიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. ლ. სვანიძეს ქ. თბილისში, გორგასლის ქ. 3/ახუნდოვის ქ. N4–ში ტენტის მოწყობის პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.